

უცხოური ენის შეთვისების ფსიქოლინგვისტური, კოგნიტური და კულტურული წანამდგვრები

კილაძე ანა

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია, ქუთაისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.31>

აბსტრაქტი. უცხოური ენის შეთვისება წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელსაც განსაზღვრავს ფსიქოლინგვისტური, კოგნიტური და კულტურული ფაქტორები. ენა ადამიანის ნეიროლოგიური სისტემის ნაწილად მიიჩნევა და მასზე გავლენას ახდენს როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალურ-კულტურული გარემო. ენის ათვისება ადრეულ ასაკში მეტად ეფექტურია, რაც განპირობებულია ადამიანის თანდაყოლილი უნარით, ენის უნივერსალური მახასიათებლების დამსახურებით.

ენის შემსწავლელთა ცნობიერებაში ახალი ენის ფორმების და სტრუქტურების შექმნა ხდება ჰიპოთეზის ტესტირების პროცესის მეშვეობით, სადაც მიმდინარეობს სწავლება და შეცდომების გასწორება. მნიშვნელოვნად რჩება „ვასილიზაციის“ პრობლემა, ანუ შეცდომების არასწორი და გამეორებითი ინტერნალიზაცია, რაც შეფერხებას იწვევს.

ენის შესწავლა კოგნიტურ მეცნიერებაში შეფასებულია, როგორც პროცედურული უნარის განვითარება, სადაც მთავარია წესების ავტომატიზაცია და შინაგანი რეპრეზენტაციების სტრუქტურირება. მრავალენოვანი გამოცდილება ხელს უწყობს უცხო ენის უკეთ შესწავლას, რადგან ენის შემსწავლელს მეტი მოქნილობა და სტრატეგიული უნარი აქვს.

კულტურული და სოციალური ფაქტორებიც დიდი მნიშვნელობისაა. ენის შემსწავლელის ინტეგრაცია და აკულტურაცია განსაზღვრავს ენის შეთვისების ხარისხს. პირადი მოტივაცია, სოციალური ურთიერთობები და ენის გარემო გავლენას ახდენენ შესწავლის პროცესზე.

სოციოკულტურული ფაქტორები, მათ შორის აკულტურაციული დისტანცია, სოციალური ინტეგრაცია და მოტივაცია, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ენის შესწავლის ხარისხში. კრიტიკული პერიოდის დასრულების შემდეგ ენის შესწავლა მოითხოვს ცნობიერ ჰიპოთეზირებას და უკუგების პროცესს, რაც გავლენას ახდენს ლინგვისტურ განვითარებაზე.

უცხოური ენის შესწავლა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ფსიქოლინგვისტურ, კოგნიტურ და კულტურულ ასპექტებს, რათა უზრუნველყოფდეს ენის სრულყოფილ ათვისებას.

საკვანძო სიტყვები: კომპლექსური, სოციოკულტურული, ინტეგრაცია, ფსიქოლინგვისტური, კოგნიტური, კომპეტენცია

“ჩემთვის ახალი ენის ათვისება ბუნების მომწესხველი და მისტერიული ფენომენია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის წარმოუდგენლად რთული განსაკუთრებული უნარი, არამედ იმიტომაც, რომ ის არის ადამიანის გონების უდიდესი მიღწევა, ის რაც ბუნებამ ჩემზე მაღლა დააყენა.” (სკოველი . Scovel 1969,39)

ენა ბიოლოგიურად და გენეტიკურად ადამიანის ნეიროლოგიური სისტემის ნაწილია. რეალური სამყარო ქვეცნობიერად აგებულია ენობრივი ჯგუფის ენობრივ ჩვევებზე. ჩვენ აღვიქვამთ, ვხედავთ და განვიცდით ისე, როგორც ამის ინტერპრეტირებას საზოგადოების ენობრივი ჩვევები განაპირობებს.

ენა ურთულესი ფენომენია, ცოდნის არცერთი რთული სისტემის ათვისება არ არის იოლი ადრეულ ასაკში. რაც უფრო ადრე ვსწავლობთ ენას, მით უფრო კარგად ვითვისებთ მას. ენის უნივერსალური მახასიათებლების წყალობით, ადამიანმა უკვე იცის ყველა ენის სტრუქტურა თანდაყოლილი ენის ათვისების უნარის გამო.

ენის შეთვისება კოგნიტურ მეცნიერებაში ერთ-ერთი მთავარი თემაა. ენის ფლობა არსებითად და გამორჩეულად ადამიანური თვისებაა. ეს არის მამოძრავებელი, რითაც სხვისი ფიქრების წვდომაც შეგვიძლია. ენა არის ერთადერთი რამ, რისი სწავლაც ფორმალური სწავლების გარეშე შეგვიძლია. ყოველთვის, როცა რომელიმე ენაზე ვლაპარაკობთ, რაღაც ახალს ვამჟღავნებთ ან აღმოვაჩენთ მასში.

ენის შემსწავლელი იყენებს უცხო ენას ანუ L2 (Language 2) სისტემას, რომელიც გამუდმებით იქმნება ახალი ცოდნის დამატებისას. მას შეიძლება ინტერენა ანუ შუალედური ენა ვუწოდოთ. ეს ტერმინი ლ. სელინკერს ეკუთვნის, რომელიც ხაზს უსვამს ენის შემსწავლელის ლინგვისტურ განვითარებას. იგი უნიკალურია, ემყარება ორივე ენას, მაგრამ არც ერთს არ მიეკუთვნება.

ყველა ენას აქვს პარამეტრები, რომლებიც უნდა დაფიქსირდეს, ხოლო ენის შემსწავლელის ამოცანაა, ამ სხვადასხვა პარამეტრებისაგან რომელიმეზე გააკეთოს არჩევანი.

უცხოური ენის შემსწავლელი აყალიბებენ ახალ ფორმას, რაც მათი გამოგონებაა. უცხოური ენის შემსწავლელი, იგონებს სიტყვას ან სტრუქტურას, რომელსაც იგი შესასწავლ ენაზე საუბრისას იყენებს. საზოგადოებისაგან მიღებული პასუხის შედეგად იგი ამოწმებს თავის ჰიპოთეზასა და საკუთარ ორიგინალურ იდეას, თუ როგორ მოახდინოს წარმატებული კომუნიკაცია. (Tarone 1982, 72)

უცხოური ენის შესწავლის საფეხურები ასახავს პროგრესირებას კონტინუუმზე, რომლის ორი უკიდურესი პოლუსია დედაენა და შესასწავლი ენა ანუ დედაენიდან შესასწავლი ენისაკენ. ეს კონტინუუმი აღინიშნება საფეხურების სერიებით, რომლებიც ენის შემსწავლელს ტიპური შეცდომებით აღწერს.

მ. სელინკერი საუბრობს ლატენტურ ანუ ფარულ ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე, რომელიც ამოქმედდება მეორე ენის შესწავლისას, როცა მთავრდება კრიტიკული პერიოდი მომწიფებასთან ერთად (Selinker 1972, 225). ს. კორდერის თქმით, ამ დროს მთავარია ჰიპოთეზის ტესტირება, რაც 5 საფეხურისაგან შედგება:

1. შესასწავლი ენის გარკვეული კომპონენტების მახასიათებლების იდენტიფიკაცია, ახალ ფორმასა და არსებულს შორის ურთიერთობის გარკვევა.
2. დაკვირვების შედეგად იდენტიფიკაცია.
3. ჰიპოთეზის ფორმირება და ჰიპოთეზის ტესტირება.
4. უკუგების მიღება.
5. გადაწყვეტილების მიღება/ გავაგრძელოთ თუ არა ჰიპოთეზის მიღება.

უკუგება შეიძლება იყოს კორექცია ან გაგების ხარისხი თანამოსაუბრეთა მხრიდან (Corder 1967, 111-125). გრაფიკულად ეს შემდგენიარად შეიძლება გამოვსახოთ:

ცხრილი 1. მეორე ენის შეთვისებისა და სოციალური ცვლადების ურთიერთმიმართება.


ენის მიწოდება	სოციალური ფონი	ენის შეთვისება
შესასწავლი ენის მასალა.	ენის შემსწავლელის კოგნიტური და ენის სწავლის სტილი.	ენა, რომელზეც შემსწავლელი ჰიპოთეზას აგებს.

ენის შესწავლა გამოიყენება ენის სტრუქტურაზე შეგნებული ხაზგასმის კონტექსტში. ენის შეთვისება უფრო ნაკლებ ცნობიერი ინტერნალიზაციით ანუ გათავისებით ხასიათდება შემოქმედებითი კონსტრუქციის პროცესის გზით. შეცდომები დაფუძნებულია L2-ის

ზოგადობაზე და ნაკლებად დედაენის ანუ L1-ის (Language 1) ტრანსფერზე.

ს. კორდერი საუბრობს გარდამავალ კომპეტენციაზე (Corder 1967, 28), ხოლო ლ.სელინკერი - მიახლოებით სისტემების არსებობაზე ენის შემსწავლელში (Selinker 1972, 215). (იხ.ნახ.2)

ნახ. 2 ს. კრაშენის მონიტორის მოდელი




არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში ძლიერდება ენის შემსწავლელის კონტროლი შეთვისებულ მასალაზე, ამით მათი პერფორმანსი უკვე დედაენისას უტოლდება. ეს იქნება ავტომატური თუ გაანალიზებული (Bialystok 1988, 42).

აღსანიშნავია, რომ გაანალიზებული ცოდნა მიჩნეულია, როგორც ცოდნის სპეციფიკური, ანუ მარკირებული ფორმა. შეუძლებელია ექსკლუზიურად განვავითაროთ ანალიზური ცოდნა, იგი მხოლოდ გაუანალიზებელი ცოდნიდან აღმოცენდება. ხოლო ნაპრალი ამ ორ ცოდნას შორის დროებითია.

ქვემოთ მოყვანილი სქემა ნათელყოფს ურთიერთმიმართებას ცოდნის სხვადასხვა შრეს შორის (ნახ. 3).

ნახ. 3. სამი ტიპის ინფორმაციის როლი ენის შესწავლისას



სხვა სახის ცოდნაში იგულისხმება სხვა ენების ცოდნა, კონცეპტუალური ანუ სამყაროს ცოდნა, სპეციფიკური სიტუაციის ან თემატიკის ცოდნა ანუ კონტექსტური ცოდნა. რაც შეეხება ინდივიდუალურ განსხვავებებს, იგი ემყარება იმას, თუ რომელ სახეს განავითარებს ენის შემსწავლელი ანალიზურს თუ ავტომატურს, როგორ ახდენს წესების დედუქციასა და განვითარებას ლინგვისტური ცოდნიდან. ადამიანები მაღალ შეფასებას იმსახურებენ ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა უნარი, მოტივაცია, ინტელექტი და უფრო სწრაფად ითვისებენ ენის მარკირებულ ელემენტებს.

გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო მოზრდილთა მიერ უცხოური ენის შესწავლის ინტენსიური კვლევა ფსიქოლინგვისტურ ჭრილში, სოციალურ, კულტურულ,

ანთროპოლოგიურ და სხვა კონტექსტებში. ეს ზოგადად შეიძლება მოვიხსენიოთ აკულტურაციის სახელით.

ი. შუმანი თვლის, რომ აკულტურაციის ხარისხი განაპირობებს ენის შეთვისების ხარისხსაც. აქ დგას დისტანციის საკითხი, როგორც სოციალურისა და კულტურულის, ისე ფსიქოლოგიურისა ანუ ინდივიდუალურის. ამ უკანასკნელს განეკუთვნება ენისგან მიღებული შოკი. კულტურული ინტეგრაციული და ინსტრუმენტალური მოტივაციები, ეგო (Schumann 1978, 135-137).

ყველა სახის დისტანცია არის რიგი ფაქტორების შედეგი:

1. დომინაცია/სუბორდინაცია
2. ასიმილაცია /ადაპტაცია/ პრეზერვაცია.
3. შესაბამისობა
4. განწყობა-დამოკიდებულება

ი. შუმანი მეორე ენის შესწავლას ადარებს ფიქინიზაციის პროცესს, როცა უცხო ენაზე მოსაუბრე ამარტივებს მეტყველებას. ამ დროს ხდება სხვადასხვა სახის შეფერხება, დისტანცია ისევე ნარჩუნდება და ენის ცოდნაც რჩება იმავე დონეზე, ანუ ხდება სტაგნაცია.

ი. შუმანს მოჰყავს 33 წლის კოსტა-რიკელი ემიგრანტის ალბერტოს მაგალითი: ალბერტო პირადი ურთიერთობებით შორს იდგა იმ ჯგუფის წევრებისაგან, ვისთან ერთადაც სწავლობდა. მისი ლინგვისტური განვითარებაც შეფერხდა (ibid. 139).

ალბერტოს მეტყველების მახასიათებლები გახდა:

1. ზმნისწინური უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება;
2. არავითარი ინვერსია შეკითხვების დროს;
3. დამხმარე ზმნების ნაკლებობა;
4. კუთვნილებისას ფლექსიების არარსებობა;
5. ზმნების არამარკირებული გამოყენება.

1976 წელს გერმანიაში, ჰაიდელბერგის პროექტში მონაწილეობდა 48 იტალიელი და ესპანელი ემიგრანტი მუშა. ისინი გერმანულს ითვისებდნენ არასასწავლო პირობებში. ისეთი ცვლადი, როგორიცაა თავისუფალ დროს კონტაქტები, ძალიან წაადგა ენის შესწავლას. ასევე დადებითად იმუშავა დროის ხანგრძლივობამ, რომლის ათვლაც ხდებოდა იმ დღიდან, როცა მუშები ჩავიდნენ გერმანიაში. ნაკლები გავლენა ჰქონდა დედაენას და სქესს (Krashen 1982, 93).

დ. ლარსენ-ფრიმენს მოჰყავს ერთი ესპანელი ემიგრანტის მაგალითი, რომელმაც გერმანიაში გაატარა 5 წელი და ალბერტოს მსგავსად შეზღუდული კონტაქტები ჰქონდა სხვებთან. მისი მეტყველების მახასიათებლებია:

1. გერმანული უარყოფითი ნაწილაკისა „nicht“ გადაჭარბებული ხმარება;
2. კოპულას არ გამოყენება;
3. დამხმარე ზმნებისა და ფლექსიების უგულებელყოფა;
4. სუბიექტის აქტიურ ლექსიკონში ძირითადად არსებითი (Larsen – Freeman 1994, 169).

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს დასახელებულ ფაქტორთა ვალიდურობას და მათ უცხოელზე გათვალისწინებას წარმატებული სწავლისთვის.

უცხოური ენის შეთვისების მეორე და შედარებით ახალი მიმართულებაა კოგნიტური მიდგომა, რომლის მიხედვითაც უცხოური ენის შესწავლა სხვა არაფერია თუ არა ერთი კომპლექსური კოგნიტური უნარის შესწავლა, რომელშიც ჩართული იქნება ენის პერფორმანსის არაერთი ასპექტი.

იგი ითხოვს მისი კომპონენტი ქვეუნარებისა და ჩვევების ავტომატიზაციას. სწავლა კოგნიტურია, რადგან, სავარაუდოდ, იგი მოიცავს შინაგან აღდგენას ანუ რეპრეზენტაციას, რომელიც თავის მხრივ, მართავს პერფორმანსს და ეს უკანასკნელი კი უმჯობესდება შინაგანი რეპრეზენტაციის გამუდმებული განახლების, ხელახალი ორგანიზაციისა და სტრუქტურიზაციის გზით. რაც შესაძლებლობას აძლევს ენის შემსწავლელს, გაამარტივოს ენის ქცევა და მოახდინოს მისი სიტუაციასთან მორგება. ეს ორი პროცესი - ავტომატიზაცია და რესტრუქტურიზაცია - ურთიერთგამსაზღვრელია.

ბ. მაკლაჰლინმა ამ მიმართებით, ჩაატარა ექსპერიმენტი, რომლის მსვლელობისას მან ერთმანეთს შეადარა ერთენოვანი, ორენოვანი და მრავალენოვანი სუბიექტები. ამ უკანასკნელთ ითხოვდა წინასწარი ინსტრუქტაჟის გარეშე, დაესწავლათ მინიატურული ლინგვისტური სისტემა.

კვლევისას მიღებული იქნა შედეგები: მრავალენოვანი სუბიექტები ენას შესაბამისად იოლად სწავლობდნენ, როცა საქმე მიდგა იმპლიციტურ სწავლებაზე. ეს შედეგი მან ახსნა იმ გამოცდილებით, რაც ენის შემსწავლელთ მიღებული ჰქონდათ ასოებისა და მოდელების გამოცნობისას, ასევე იმ მოქნილობით, რაც სხვადასხვა ფრაზის ხმარებით, მოძიებითა და ევრისტიკული სტრატეგიების გამოყენებით მოდის წლების განმავლობაში (McLaughlin 1978, 65-69).

ამდენად, კოგნიტური მიდგომა უფრო პროცედურული ცოდნის ინტერნალიზაციისკენაა მიმართული. იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება სუბიექტების მიერ ცოდნის დაგროვება, წესთა ავტომატიზაცია და მათი რესტრუქტურიზაცია. შესაძლებელია გავარჩიოთ შეთვისების ორი გზა:

1. ლინგვისტურად განპირობებული, რაც ბუნებრივ თანამიმდევრობას მიჰყვება;
2. გზა, რომლის დეტერმინირება შეუძლებელია, მაგრამ რომელიც მოითხოვს ავტომატიზაციას კონტროლის ქვეშ.

ჩვენი აზრით, სწავლებაში აუცილებელია ორივეს შეთვისება-შეჯერება.

მეორე ენის წარმოქმნა სამი გამოკვეთილი გზით ხდება:

1. შემსწავლელი თავის მიერ შეძენილი სისტემის გამონათქვამებს იყენებს მისი კვლავ წარმოქმნისათვის;
2. იყენებს მზამზარეულ ფრაზებს, ანუ რუტინებსა და მოდელებს, რომლებსაც, თეორიულად ბევრის მიცემა არ შეუძლია ენის შემსწავლელისათვის, მაგრამ პრაქტიკულად საკმაოდ დახმარების მოტანა ძალუძს;
3. ეყრდნობა მშობლიური ენის ზედაპირულ სტრუქტურებს და ზოგი მეცნიერის აზრით, შეგნებულად იზიარებს და ცვლილებები შეაქვს მასში (Krashen 1982, 111).

ენის შემსწავლელის ცნობიერებაში განირჩევა სულ ცოტა სამი სხვადასხვა როლი, რომელსაც ინფორმაცია ასრულებს:

1. მშობლის, კერძოდ ბავშვობაში ნასწავლი წესებით, ფასეულობებით, რაც ავტორიტეტულ პიროვნებებს უკავშირდება;
2. ბავშვის - რაც ასოცირდება ბავშვურ დამოკიდებულებებთან;
3. მოზრდილის - რაც დამოუკიდებლობასთან იგივდება.

ყოველივე უკავშირდება მასწავლებლის როლის კვალიფიცირებასა, მწვრთნელს აღმზრდელს, მოზარდს. როგორც აღმოჩნდა, შეცდომების უმრავლესობას ბავშვი უშვებს კრიტიკული მასწავლებლის შემთხვევაში (Savignon 1972, 57).

უცხოური ენის შესწავლის სხვა განმსაზღვრელი ფაქტორებიდან აღსანიშნავია მეხსიერება, რომელიც მეორე ენის შესწავლისას უფრო შეზღუდულია, ვიდრე დედაენის შემთხვევაში, ხოლო ხანმოკლე მეხსიერება ვითარდება ასაკის მატებასთან ერთად.

მნიშვნელოვანია სქესის ფაქტორიც, როცა ექსპერიმენტები ქალთა სასარგებლოდ მეტყველებენ.

საუბრობენ დაბადების რიგზე, ანუ სუბიექტი რიგით მერამდენა თავის ოჯახში. საკითხი დედისერთა და პირველი ბავშვის სასარგებლოდ წყდება (Larsen 1994, 158-161).

ასევე გავლენას ახდენს ნებისყოფა, წინა გამოცდილება და სხვა ფაქტორებიც, რომელთა მიმოხილვა ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს.

უცხოური ენის შეთვისება წარმოადგენს კომპლექსურ და მრავალმხრივ პროცესს, რომელიც ერთიანად მოიცავს ფსიქოლინგვისტურ, კოგნიტურ და კულტურულ ფაქტორებს. ენის შესწავლა არ შემოიფარგლება მხოლოდ გრამატიკული ფორმების შესწავლით, არამედ გულისხმობს ჰიპოთეზების გამოთქმასა და მათ შემდგომ ტესტირებას, ასევე კულტურულ ადაპტაციას და სოციალურ ინტერაქციებს.

ენის შესწავლის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული

ინდივიდუალურ, ფსიქოლოგიურ და კოგნიტურ შესაძლებლობებზე. ამიტომ, უცხოური ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია, როგორც ენათმეცნიერების, ისე ფსიქოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ინტეგრირებული მიდგომების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ეფექტურობას და ენის კომპეტენციის სრულ განვითარება.

სამეცნიერო ლიტერატურა:

- 1.Scovel, T. Foreign accents, Language Acquisition and Cerebral Dominance.
- 2.Language Learning 25; 209-235, 1969
- 3.Selinker, L. Interlanguage. IRAL, 10: 209 -231. 1972
- 4.Tarone, E. Systematicity and Attention in Interlanguage. Language Learning, 32: 69-84, 1982
5. Corder, S.P. The Significance of Learners Errors. International Review of Applied Linguistics (IRAL), 1967
6. Schuman, I. Social Distance as a Factor in Second Language Acquisition. Language learning 26:135-143,1978
7. Krashen, S.D. Principles and Practice in the Second Language Acquisition. London: Pergmon Press, 1982.
8. <http://www.biling.su.se/~niab/Literature.htm>
- 9.http://www.experincefestival.com/a/Second_language_acquistion_-_Sammary_of_Critical_Period_Reseach_to_date/id/213596

Psycholinguistic, Cognitive, and Cultural Foundations of Foreign Language Acquisition

Kiladze Ana

Gelati Theological Academy and Seminary, Kutaisi

Abstract

Foreign language acquisition is a complex process influenced by psycholinguistic, cognitive, and cultural factors. Language is considered part of the human neurological system and is affected by both biological and socio-cultural environments. Early language acquisition is more effective due to the innate ability of humans and the universal features of language.

In learners' cognition, the creation of new language forms and structures occurs through a process of hypothesis testing, which involves learning and error correction. The issue of "fossilization," or the incorrect and repetitive internalization of errors, remains significant and can cause delays.

Language learning is viewed in cognitive science as the development of procedural skills, where rule automatization and the structuring of internal representations are crucial. Multilingual experience facilitates better foreign language learning by providing learners with greater flexibility and strategic abilities.

Cultural and social factors are also highly important: learner integration and acculturation determine the quality of language acquisition. Personal motivation, social relationships, and language environment influence the learning process. Sociocultural factors, including acculturation distance, social integration, and motivation, play a key role in the quality of language learning. After the critical period, language acquisition requires conscious hypothesis formulation and feedback processes, impacting linguistic development.

Thus, foreign language learning demands an integrated approach that considers psycholinguistic, cognitive, and cultural aspects to ensure comprehensive language mastery.

Key Words: *Complex, Sociocultural, Integration, Psycholinguistic, Cognitive, Competence.*